საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოცვნარი

მოცვნარი, სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (შრომის ადმ. ერთეული). მდებარეობს მდ. სეფის ნაპირებზე, ზ. დ. 100 *მ*, ოზურგეთიდან 30 *კმ*, ურეკიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*, 873 მცხ. (2014). სახელი ეწოდა მოცვის კულტურის გამო, რ-იც გაშენებული იყო სოფელში. საბჭ. პერიოდში მოცვი ჩაანაცვლა ჩაიმ და სხვა სუბტროპ. კულტურებმა. XX ს. 50-იან წლებში სოფელს გმირთა უბანი ეწოდებოდა.